შეთანხმების აქტი N25-1

28.01.2015 წლის N25 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი

1 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ბესიკ დევდარიანის** სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"
თავმჯდომარე - გიორგი პატარიძის სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში ა/ა 707407076
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

2015 წლის 28 იანვარს გაფორმებული N25 ხელშეკრულების მე-12 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და პატიმრობის კოდექსის 125[1] მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის კოდექის 125[1] მუხლის შესაბამისად 2015 წლის 1 ივლისს განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყების დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია, რის შემდეგაც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია, აღნიშნულმა ცვლილებამ 2015 წლის 28 იანვარს გაფორმებულ N25 ხელშეკრულებაში (ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურება) გამოიწვია ცვლილების განხორციელება, კერძოდ:

1. 2015 წლის 28 იანვარს გაფორმებულ N25 ხელშეკრულების მუხლებში, პუნქტებსა და ქვეპუნქტებში, სადაც ნახსენებია სიტყვა **სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** შეიცვალოს სიტყვით **პენიტენციური დეპარტამენტი** ხოლო **სასჯელაღსრულების დაწესებულებები** შეიცვალოს სიტყვა **პენიტენციურ დაწესებულებებით.**
2. მე-16 მუხლის 16.1 პუნქტით განსაზღვრულ კონტროლს განახორციელებს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი შალვა ხუციშვილი.
3. შევიდეს ცვლილება 2015 წლის 28 იანვარს გაფორმებული N25 ხელშეკრულების მე-19 მუხლში შევიდეს ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბანკო რეკვიზიტებში: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - ბესიკ დევდარიანი, მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის N3, საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934, სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222, ანგარიშის N: 200122900;
4. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
5. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
6. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

წინადებარე „შეთანხმების აქტი“ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე**
ბესიკ დევდარიანი	გიორგი პატარიძე